

კონკურსში მონაწილეობის პირობები

მუხლი 1. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის ძირითადი პირობები

1. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ ძირითად პირობებს, კერძოდ, აქვს:

- ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ბ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
- გ) განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები, კერძოდ, 2012 წლიდან გამოქვეყნებული მინიმუმ 5 სტატია მაღალი (>2) იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისად.

მუხლი 2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის დამატებითი პირობები

1. პირმა მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის, ასევე, უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები, კერძოდ, იცნობდეს:
- ა) სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდებას;
 - ბ) სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის შინაგანაწესს;
 - გ) საქართველოს კანონს „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“ (I-II, IV, VI და VII თავები).

მუხლი 3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის ძირითადი პირობები

1. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ ძირითად პირობებს, კერძოდ, აქვს:

- ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ბ) 2012 წლიდან გამოქვეყნებული მინიმუმ 5 სტატია ერთზე მეტი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისად.

მუხლი 4. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის დამატებითი პირობები

1. პირმა უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის, ასევე, უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები, კერძოდ, იცნობდეს:

- ა) სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდებას;
- ბ) სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის შინაგანაწესს.

მუხლი 5. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის ძირითადი პირობები

1. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ ძირითად პირობებს, კერძოდ, აქვს:
 - ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
 - ბ) 2012 წლიდან გამოქვეყნებული მინიმუმ 3 სტატია რეფერირებულ სამეცნიერო ჟურნალებში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისად.

მუხლი 6. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის დამატებითი პირობები

1. პირმა მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის, ასევე, უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები, კერძოდ, იცნობდეს:
 - ა) სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდებას;
 - ბ) სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის შინაგანაწესს.